

ქალაქ ქუთაისში, გორკის ქ. N74–ში თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე განთავსებულ
საცხოვრებელ სახლზე, მოქალაქე მერაბი კოლუაშვილისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა გორკის ქუჩა N74 თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე განთავსებულ საცხოვრებელ სახლში მცხოვრები მოქალაქე მერაბი კოლუაშვილის განცხადება /2014 წლის 04.02 Nკ-1350/, რითაც ითხოვს თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე განთავსებულ საცხოვრებელ სახლზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, გორკის ქუჩა N74 საცხოვრებელი სახლი/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, გორკის ქუჩა N74–ში თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე განთავსებულ საცხოვრებელ სახლზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე მერაბი კოლუაშვილს /პირადი N60003005356/.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, გორკის ქუჩა N74 თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე განთავსებულ საცხოვრებელ სახლზე, საერთო ფართობი 71,94 კვ.მ, /საცხოვრებელი ფართობი 57,51 კვ.მ, დამხმარე ფართობი 14,43 კვ.მ./ რომელიც განთავსებულია 5256,00 კვ.მ. თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე მოქალაქე მერაბი კოლუაშვილის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.ქავთარაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

შ.მურდულია